ხელშეკრულება №16-2018

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **01.31. 2018 წელი**

ერთის მხრივ, **სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს“** წარმოდგენილი - სააგენტოს უფროსი ნიკოლოზ დიდიძის სახით შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ **შპს „მირა“** წარმომადგენელი უფლებამოსილი პირის სახით შემდგომში „მიმწოდებელი“ მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში ერთი ერთეული ბორბლიანი მანძილმზომის შეძენა (CPV კოდი **34965000** – მანძილმზომი მოწყობილობა). კერძოდ :

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო თანხა
1	ბორბლიანი მანძილმზომი	ცალი	1	110.00 ლ	110,00 ლ

2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება

2.1 მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **110.00** (ასათი ლარი და 00) **ლარს** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისი ,,მიღება ჩაბარების“ აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

4.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი

4.3 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.

4.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს ხარვეზებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორება.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარულ დღეში.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 საბანკო დღეში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება

6.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ვალდებულებებზე ან ზარალზე.

6.4 მიმწოდებელს არ აქვს უფლება, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, უნდა გაფორმდეს წერილობით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო თავად იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან

მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეები უფლებამოსილნი არიან შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ინტერესთა კონფლიქტი

12.1 „შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 3 მარტამდე

ხელშეკრულება შედგენილია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი შემსყიდველს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ "სახელისუფლებო სპეციალური	შსპ „მირა"
კავშირგაბმულობის სააგენტო".	ს/კ 202218698
საიდენტიფიკაციო კოდი:204429494	მის: ქ.თბილისი, წერეთელის N126
მისამართი: 380038, საქართველო, ქ. თბილისი	ბანკი : სს „საქართველოს ბანკი"
9 აპრილის ქ. 2 სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი: BAGAGE22
სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური	GE84BG0000000146378700
კავშირგაბმულობის სააგენტოსთვის" – 4003	
ხაზინის ერთიანი ანგარიში GE24NB0330100200165022	
ბანკის კოდი – TRESGE22	
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი – 7 0771 7121	
ნიკოლოზ დიდიძე	
სააგენტოს უფროსი	

მიღება – ჩაბარების აქტი № 16-2018/1
საქონლის შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 31. 01.2018 წ.

ერთის მხრივ **სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო“** (შემსყიდველი) სააგენტოს უფროსის მოადგილის ზაზა ლომიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „მირა“** წარმომადგენელი უფლებამოსილი პირის სახით (მიმწოდებელი) ვადგენთ აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე:

„მიმწოდებელმა“ გადასცა ხოლო „შემსყიდველმა“ მიიღო 2018 წლის 31 იანვრის №16-2018 ხელშეკრულების ფარგლებში, **110.00** (ასათი ლარი და 00თ) ლარის ღირებულების შემდეგი საქონელი:

№	CPV კოდი	საქონლის დასახელება	ზომ. ერთ.	რ –ბა	ერთ.ფასი	ჯამი
1	34965000	ბორბლიანი მანძილმზომი	ცალი	1	110,00	110.00
						სულ:110.00

„შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას „მიმწოდებელს“ უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადაუხადოს მიწოდებული საქონლის ღირებულება ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

მხარეთა რეკვიზიტები:

,,შემსყიდველი“
სსიპ "სახელისუფლებო სპეციალური
კავშირგაბმულობის სააგენტო".
საიდენტიფიკაციო კოდი:204429494
მისამართი: 380038, საქართველო, ქ. თბილისი. 9 აპრილის ქ. 2 სახელმწიფო ხაზინა სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთვის“ – 4003.ხაზინის ერთიანი ანგარიში GE24NB0330100200165022.ბანკის კოდი – TRESGE22.მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი – 7 0771 7121

_____ ზაზა ლომიძე

„მიმწოდებელი“
შპს“მირა“
ს/კ 202218698
მის: ქ.თბილისი, წერეთელის126
სს“აქართველოს ბანკი BAGAGE22
GE84BG0000000146378700

_____